სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080140110302316

 # 1492 **18** / მაისი / **2016** წ.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 13 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის SMP160001366 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამზადებული საინვესტიციო და საკოლექციო მონეტები (CPV18512100 - მონეტები).

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების („აფხაზეთობა“, „ზუგდიდობა“) ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს ეროვნული ბანკის სხვადასხვა ნომინალის საინვესტიციო მონეტების საჩუქრის სახით გადაცემა აფხაზეთისა და ზუგდიდის მკვიდრი გამორჩეული მოღვაწეებისთვის და საპატიო ზუგდიდელებისთვის. აღნიშნული მონეტების შესყიდვა უნდა განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკისგან, რამდენადაც, ზემოხსენებული მონეტების დამზადება და ემისია საქართველოს ეროვნული ბანკის ექსკლუზიური უფლებაა.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს როგორც მიმოქცევისათვის, ისე საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება. ლარის ბანკნოტებსა და მონეტებზე საავტორო უფლებების მფლობელია ეროვნული ბანკი. აღნიშნული დასტურდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით. ამასთან, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მოახდინოს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების, ასევე ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაცია როგორც

ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის SMP160001366 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი